



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
განათლების პოლიტიკის დოკუმენტი
2019 - 2021

სარჩევი

I. შესავალი -----	3
II. სტრატეგიული მიმართულებები -----	5
1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება -----	6
1.1. სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა -----	7
1.2. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაცია/მონიტორინგი -----	15
2. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა -----	22
2.1. ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების მშენებლობა და არსებული შენობების რეაბილიტაცია/ვაუჩერიზაციის მოდელის დანერგვა -----	23
2.2. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა -----	27
3. ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა -----	32
3.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირების უზრუნველყოფა -----	33
3.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის -----	36
3.3. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების დაფინანსება -----	39
4. საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარება -----	42
4.1. ბათუმის უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა -----	43
4.2. საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების მხარდაჭერა -----	47
4.3. ბათუმის უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერა -----	51
5. ადამიანური კაპიტალის განვითარება -----	56
5.1. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების სწავლის სტიმულირება -----	57
5.2. საზღვარგარეთ სწავლის ხელშეწყობა -----	60
5.3. ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა -----	64

თავი I: შესავალი

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი მომავალი თაობისათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდაა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

სკოლამდელი განათლება განათლების პირველი რგოლი და ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია.

2012 წლიდან ქ. ბათუმში 8 ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება აშენდა და დამატებით 2 000-ზე მეტ აღსაზრდელს მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური მომსახურებით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქალაქში პრობლემად რჩება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს მიღმა დარჩენილ აღსაზრდელთა რაოდენობა, რომლებსაც არ ეძლევათ საშუალება განათლების პირველი, უმნიშვნელოვანესი რგოლის სერვისის მიღებისა.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი, ხარისხიანი და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე დაფუძნებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მისაწოდებლად, საქართველოს მთავრობის მიერ, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, 2017 წლის შემოდგომაზე მიღებული იქნა სახელმწიფო სტანდარტები, რომლებიც სავალდებულოა ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის.

განათლების მიმართულებით მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესი სწორედ ზემოხსენებული სტანდარტების დანერგვა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა.

მუნიციპალიტეტისათვის ასევე პრიორიტეტულია უწყვეტი განათლების ხელშეწყობა, ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარება და ადამიანური კაპიტალის განვითარება.

არსებული საკითხების მოგვარებისა და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით შემუშავდა განათლების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.

დოკუმენტი ეფუძნება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას“, რომლის ერთ - ერთი მიზანია, ადამანის საჭიროებებზე მორგებული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა. დოკუმენტი ასევე ეფუძნება ფაქტობრივ მონაცემებს და კვლევებს ამ სფეროში, უახლოეს წარსულ გამოცდილებას, მსოფლიოში მიმდინარე ახალ ტენდენციებს. პოლიტიკის დოკუმენტში გამოყენებულია საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები, განათლების სფეროში არსებული კანონმდებლობა, კონვენციები, მათ შორის: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, ბოლონიის დეკლარაცია, კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ და სხვა. დოკუმენტში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სპეციფიკა და ამ ფაქტორისა და საკუთარი კომპეტენციების გათვალისწინებით განისაზღვრა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების განვითარების პოლიტიკა.

განათლების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისას, განათლების სფეროში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით, სამსახურის მიერ მოეწყო განათლების სფეროს წარმომადგენლებთან საჯარო შეხვედრები. ზემოაღნიშნულ შეხვედრებაზე გამოთქმული შენიშვნების, რეკომენდაციების და მოსაზრებების გათვალისწინებით ჩამოაყალიბდა დოკუმენტის ხედვა, მისია, მიზნები და ამოცანები.

განათლების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი სამწლიანია, მოიცავს 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმას და საჭიროებისმებრ ექვემდებარება განახლებას.

დოკუმენტის სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ განხორციელდა დოკუმენტის საჯარო პრეზენტაცია. გაიმართა შეხვედრები განათლების სფეროს წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, დოკუმენტი განთავსდა მერიის ვებგვერდზე მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით. მიღებული მოსაზრებები და რეკომენდაციები აისახა განათლების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში.

განათლების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების კოორდინაციაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური, რომელიც აწარმოებს აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებზე დაკვირვებასა და შედეგების შეფასებას.

დოკუმენტის ფარგლებში მიღწეული შედეგების შესაფასებლად, მომზადდება დოკუმენტის ყოველკვარტალური, ყოველწლიური და საბოლოო ანგარიშები.

განათლების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა საფუძვლად დაედება მუნიციპალურ პროგრამებს.

თავი II: სტრატეგიული მიმართულებები

1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება;
2. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
3. ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
4. საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარება;
5. ადამიანური კაპიტალის განვითარება.

სტრატეგიული მიმართულება 1

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება

- 1.1. სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა;
- 1.2. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაცია/მონიტორინგი.

1.1. სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, ხარისხიანი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად თითოეული აღსაზრდელისათვის უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო, ტოლერანტული, დისკრიმინაციისა და ძალადობისაგან თავისუფალი გარემო და იფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები.

პროგრამის აღწერა

სკოლამდელი განათლება განათლების პირველი რგოლი და ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.

2016 წლიდან სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში უმნიშვნელოვანესი რეფორმა ხორციელდება და მიზნად ისახავს ყველა ბავშვისთვის მაღალი ხარისხის, გამჭვირვალე, ინკლუზიური, ანგარიშვალდებულების პრინციპზე დაფუძნებული და ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული ადრეული აღზრდისა და განათლების სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. რეფორმა ასევე გულისხმობს თანამედროვე სტანდარტის ინფრასტრუქტურის, კვებისა და ყველა აუცილებელი პირობების შექმნას სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში.

რეფორმამდე სკოლამდელი დაწესებულებები მხოლოდ სააღმზრდელო ფუნქციას ასრულებდნენ და ორიენტირებულები იყვნენ ბავშვის მოვლაზე, იგნორირებული იყო განათლების კომპონენტი.

შესაბამისად, დაბალი იყო ბავშვების სკოლისათვის მომზადების დონე. სასკოლო მზაობის პროგრამის ამოქმედების მიუხედავად, სკოლამდელი განათლების სისტემის აწყობა და განვითარება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. აგრეთვე მნიშვნელოვანი გამოწვევაა საგანმანათლებლო რესურსების ნაკლებობა. აღმზრდელ პედაგოგს სჭირდება უამრავი რესურსი, თვალსაჩინოება, რათა მასალა ამომწურავად მიაწოდოს აღსაზრდელებს. თითოეულ ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავისუფლად, შემოქმედებითად გამოიყენოს ჯგუფისა და ეზოს საგანმანათლებლო რესურსი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნაკლებად ხდება ინკლუზიური სკოლამდელი განათლების პრინციპების ინტეგრირება აღზრდის პროცესში. ჯგუფის გარემო და საგანმანათლებლო რესურსი უნდა ასახავდეს კულტურულ, ეთნიკურ, ლინგვისტურ და ა.შ. მრავალფეროვნებას. აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი საჭიროებისამებრ უნდა იყენებდნენ კომუნიკაციის ალტერნატიულ ფორმებს; ხელს უნდა უწყობდნენ თითოეულ ბავშვში განსხვავებულის მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებას; თანაბრად უნდა ურთიერთობდნენ თითოეულ ბავშვთან - არ უნდა გამოარჩიონ ისინი მათი შესაძლებლობების, გარეგნული თავისებურებების, რელიგიის, ასაკის, ეთნიკური მიკუთვნებულობის, სოციალური მდგომარეობისა და სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით; დაწესებულების გარემო მორგებული უნდა იყოს თითოეული ბავშვის საჭიროებებზე. აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი უნდა თანამშრომლობდნენ თითოეული ბავშვის ჯანმრთელობის დაცვასა და განვითარებაში ჩართულ სპეციალისტებთან (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი) და სხვ.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის დონე. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალაზრობის სამსახურის მიერ 2017 წელს მოკვლეული ინფორმაციის მიხედვით, ბათუმში მოქმედ მუნიციპალურ და კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დასაქმებულია 561 აღმზრდელ პედაგოგი, მათგან 403-ს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 158-ს - პროფესიული განათლება. აღმზრდელ-პედაგოგთა 47%-ს არ აქვს გავლილი არანაირი ტრენინგი. რაც შეეხება აღმზრდელების განათლებას, 335 აღმზრდელიდან მხოლოდ 80-ს აქვს უმაღლესი განათლება, 150-ს - პროფესიული და 105-ს - საშუალო განათლება და უმეტესობას (65%) არ აქვს გავლილი არანაირი პროფესიული გადამზადების კურსი, ტრენინგი და სხვ. ყოველივე გამოწვეული იყო წლების განმავლობაში სახელმწიფოს საგანმანათლებლო სტანდარტების არარსებობით.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი, ხარისხიანი და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე დაფუძნებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მისაწოდებლად, საქართველოს მთავრობის მიერ, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, 2017 წლის შემოდგომაზე მიღებული იქნა სახელმწიფო სტანდარტები, რომლებიც სავალდებულოა ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის (მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა):

1. 2017 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის N488 დადგენილებით დამტკიცდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრავენ თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში, ასევე განსაზღვრავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების გარემოსა და საგანმანათლებლო ხარისხის სტანდარტს.

სტანდარტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დანერგვა უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიან სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას, რომელიც მორგებული იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე.

2. 2017 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის №478 დადგენილებით დამტკიცდა აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი.

სტანდარტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება (აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით დაწყებულია ქ. ბათუმის მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების უფროს აღმზრდელთა გადამზადება).

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტში განსაზღვრულია სწავლის სფეროები, აკადემიური ხარისხები და სამუშაო გამოცდილება, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღმზრდელ-პედაგოგად მუშაობის დასაწყებად და აღმზრდელ-პედაგოგის დარგობრივი ცოდნა, პროფესიული უნარ-ჩვევები, ღირებულებები და პროფესიული ეთიკა, რათა შეძლოს ბავშვზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის კარგად დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება. ასევე, სტანდარტში განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს აღმზრდელ-პედაგოგმა ბავშვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, კეთილგანწყობილი, ინკლუზიური გარემოს შექმნა, ბავშვთან დაკავშირებულ ყველა მხარესთან თანამშრომლობა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა. სტანდარტი მოიცავს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მიმართულებებს: საკუთარი პროფესიული განვითარებით დაინტერესება, თანამშრომლობა კოლეგებსა და დარგის სპეციალისტებთან გამოცდილების გაზიარების, პროფესიული საჭიროებების დადგენისა და პროფესიული განვითარებისათვის და სხვ.

3. 2017 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის №487 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი რაციონის კვებითი ღირებულებისა და კვების ორგანიზების შესახებ.

სკოლამდელი ასაკის ბავშვების უმეტესობა დღის დიდ ნაწილს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ატარებს და, შესაბამისად, დღის განმავლობაში მიღებული სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ დაწესებულებაში მიეწოდება. სურსათის შერჩევას, სწორი მენიუს შედგენას, ასაკისთვის შესაბამისი კვების სიხშირეს, კვებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორი ჩვევების ჩამოსაყალიბებლად ბავშვთა შორის.

რეგლამენტმა დაადგინა ზოგადი მოთხოვნები კვების უზრუნველყოფისადმი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში. რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ბავშვების ოპტიმალური ზრდა და განვითარება, კვებითი დეფიციტის აღმოფხვრა, სიმსუქნის და კვებასთან დაკავშირებული დაავადებების პრევენცია.

4. 2017 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის №485 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების შესახებ.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ტერიტორიის უსაფრთხოებასა და კომფორტულობას განაპირობებს არა მარტო მისი კეთილმოწყობა, არამედ კარგი მოვლა-პატრონობა, ასევე მომიჯნავე ტერიტორიების, შენობა-ნაგებობებისა, თუ ობიექტების ზეგავლენის დონე, მათი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე. ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია მოთხოვნები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიისა და ჰიგიენის უზრუნველყოფისადმი. რეგლამენტით განსაზღვრულია მოთხოვნები მიწის ნაკვეთისადმი, შენობებისადმი, განათებისა და წყალმომარაგებისადმი, სათავსების მოწყობისადმი, სიბუჯურ-საჰაერო რეჟიმისადმი, წყლით უზრუნველყოფისადმი, დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი და სხვ., რაც მნიშვნელოვანია აღსაზრდელებისა და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვისა და პრევენციისათვის.

რეფორმის სრულფასოვნად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ასევე ინფრასტრუქტურული სტანდარტის დაცვა. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაგეგმარება ისე უნდა მოხდეს, რომ შეიქმნას უსაფრთხო და ბავშვზე ორიენტირებული გარემო. შენობა მიუხედავად იმისა განთავსებული იქნება ურბანულ თუ არა ურბანულ გარემოში ერთნაირად უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს, გამწვანების, ინსოლაციისა და განათების ნორმებს. მშენებლობისას არ უნდა იქნას გამოყენებული საფრთხის შემცველი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალა, ტერიტორია დაცული უნდა იყოს, ჯანმრთელობისათვის საშიში გაფრქვევის წყაროების (მაგ.: ნაგავსაყრელი), მაღალი ინტენსივობის საავტომობილო მაგისტრალის, აეროპორტის, რკინიგზის, სხვა ხმაურიანი, აგრეთვე ინდუსტრიული ზონების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მავნე ზემოქმედებისაგან და სხვა.

რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის და სისტემის სწრაფი განვითარებისთვის, აუცილებელია კანონმდებლობისა და შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტების აღსრულება ყველა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის.

რეფორმის მიხედვით მუნიციპალურ დონეზე ხარისხიან სკოლამდელ მომსახურებაზე, მართვაზე, დაფინანსებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე, ხარისხიანი, აღსაზრდელებზე ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დანერგვა.

ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ბათუმში დღეისათვის ფუნქციონირებს 33 მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება, რომლებშიც დასაქმებულია 33 მეთოდისტი, 464 აღმზრდელი, 264 აღმზრდელის თანაშემწე. აღსაზრდელთა ჯგუფის რაოდენობა 232 - ს, ხოლო აღსაზრდელთა რაოდენობა 8070 შეადგენს.

რეფორმის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში გატარების მიზნით, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლა/სწავლება, აღმზრდელ - პედაგოგთა და სხვა პერსონალის გადამზადება, დაცული იქნება სანიტარულ - ჰიგიენური და კვების ორგანიზების ნორმები, მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, განხორციელდება დაწესებულებებში სპორტული აქტივობების ხელშეწყობა, გაიზრდება მშობელთა ჩართულობა, ბავშვზე ძალადობის თავიდან აცილების მიზნით მოხდება ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განათლება და ინფორმირება, ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით განხორციელდება შესაბამისი ქმედებები და სხვ.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სახელმწიფო სტანდარტების დასაწერად შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება;
- ✓ საზოგადოების ინფორმირება სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესახებ;
- ✓ მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დადგენილი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ✓ მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სწავლა/სწავლების, სანიტარულ-ჰიგიენური და კვების ორგანიზების ნორმების დანერგვა;
- ✓ მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღმზრდელ - პედაგოგთა და სხვა პერსონალის გადამზადება;
- ✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში ბავშვთა/ მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების ჩათვა;
- ✓ ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	სახელმწიფო სტანდარტების დასაწერად შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება	ნაკლები გამოცდილება მსგავსი დოკუმენტის მომზადების მიმართულებით	3	4	12	დაინტერესებული მხარეების და დარგის სპეციალისტების ჩართულობა დოკუმენტის მომზადების პროცესში	2	3	6
2.	საზოგადოების ინფორმირება სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესახებ	უკმაყოფილების გამოხატვა საზოგადოების მხრიდან	3	4	12	მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული მოაწყობს პერიოდულ შეხვედრებს მიზნობრივ ჯგუფებთან ნორმატიული აქტების მიღების აუცილებლობის თაობაზე	1	2	2
3.	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების	შემსრულებელი კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების	2	4	8	კონსულტაციები შემსრულებელთან, კანონით გათვალისწინებული	1	3	3

	დაწესებულებებში დადგენილი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა	არაჯეროვანი შესრულება				ქმედებების განხორციელება			
		შესრულებული სამუშაოების დაბალი ხარისხი	2	4	8	მუდმივი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება	1	3	3
		შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	5	10
4.	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სწავლა/სწავლების, სანიტარულ-ჰიგიენური და კვების ორგანიზების ნორმების დანერგვა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით	2	2	4
5.	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღზრდელ - პედაგოგთა და სხვა პერსონალის გადამზადება	აღზრდელ-პედაგოგთა და სხვა პერსონალის გადამზადებლად ტრენინგების ნაკლებობა	3	4	12	ადგილობრივი კადრების გადამზადება, რომლებიც შემდეგ უზრუნველყოფენ აღზრდელ-პედაგოგთა და სხვა პერსონალის გადამზადებას	1	2	2
6.	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში ბავშვთა/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩათვა	დაბალი ინტერესი	3	4	12	მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს მიზნობრივ ჯგუფებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობას მათი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში ჩართულობის მიზნით	1	2	2

7.	ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით შესაბამისი ქმედებების განხორციელება	მსგავსი გამოცდილების არარსებობა	3	4	12	დაინტერესებული მხარეების და დარგის სპეციალისტების ჩართულობა საკითხზე მუშაობის პროცესში	2	3	6
		უკმაყოფილება საზოგადოების მხრიდან	2	3	6	მიზნობრივ ჯგუფებთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვა მათი ინფორმირებულობის მიზნით	1	2	2

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;

ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“;

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019	სტანდარტის დასაწერად შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება				x	x	x						
2019	საზოგადოების ინფორმირება სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესახებ				x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-	მუნიციპალური სკოლამდელი	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

2021	აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დადგენილი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა												
2019-2021	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სწავლა/სწავლების, სანიტარულ-ჰიგიენური და კვების ორგანიზების ნორმების დანერგვა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღმზრდელ - პედაგოგთა და სხვა პერსონალის გადამზადება				x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში ბავშვთა/ მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების ჩათვა		x	x	x	x	x	x		x	x	x	x
2019-2021	ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით შესაბამისი ქმედებების განხორციელება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ შემუშავებული სამართლებრივი ბაზა;
- ❖ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;
- ❖ ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ❖ სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად მოქმედი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა რაოდენობა;
- ❖ გადამზადებულ აღმზრდელთა და პედაგოგთა რაოდენობა.

1.2. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაცია/მონიტორინგი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მინიჭება და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მიზნით სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგი.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა დადგენილი სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება და სასკოლო ასაკის აღსაზრდელთა მაღალი სასკოლო მზაობა.

პროგრამის აღწერა

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა ითვალისწინებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა ავტორიზაციის სავალდებულოებას. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება მომსახურების მიწოდების განსახორციელებლად ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია (ფუნქციონირებისათვის სტატუსის მოპოვების პროცედურა). დაწესებულების ავტორიზაციის ვადაა 4 წელი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება დააკმაყოფილებს ავტორიზაციის მოთხოვნებს, თუ:

- დაწესებულებაში სწავლა/სწავლება შეესაბამება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს;
- დაწესებულების შენობა-ნაგებობა, ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შენობა-ნაგებობის მოწყობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს;
- დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს;
- დაწესებულებაში კვების ორგანიზება და რაციონის კვებითი ღირებულება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს;
- დაწესებულებაში ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია და გამოცდილება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს და სხვა პერსონალისთვის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

პირველ ეტაპზე, დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის სტანდარტის დაუცველობა არ გახდება

სკოლამდელ აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციაზე უარი თქმის საფუძველი. თუმცა, 2020 წლიდან აღნიშნული სტანდარტის დაცვა ასევე სავალდებულო ხდება ყველა დაწესებულებისათვის.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალაზრობის სამსახურის მიერ ქ. ბათუმში მოქმედ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ავტორიზაციის პროცედურებისათვის მომზადების მიზნით 2017 წელს ჩატარდა წინასწარი კვლევა. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 49 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება: 31 - მუნიციპალური და 18 - კერძო. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა შეადგენს 8 860-ს. მათგან მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში რეგისტრირებულია 7 307 ბავშვი, კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში კი - 1 553. ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც მიმართეს მუნიციპალიტეტში მოქმედ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, მაგრამ ვერ მიიღეს რეგისტრაცია ასაკის მიხედვით 1 236-ია. დაწესებულების საკადრო რესურსი: დაწესებულებებში დასაქმებულია 1 563 თანამშრომელი. მათგან საგანმანათლებლო პერსონალია (აღმზრდელი პედაგოგი, აღმზრდელი, მეთოდისტი, მუსიკის მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სპეციალური უნარების პედაგოგი) - 1 054. მათ შორის 590-ს აქვს უმაღლესი განათლება, 359-ს - პროფესიული განათლება, ხოლო 105-ს - საშუალო განათლება. საგანმანათლებლო პერსონალთა მხოლოდ 44%-ს აქვს გავლილი ტრენინგი. დაწესებულებების ინფრასტრუქტურა: დაწესებულებათა 16% საჭიროებს კაპიტალურ რეკონსტრუქციას ან მნიშვნელოვან სარემონტო სამუშაოებს, დაწესებულებათა 90%-ის ეზო აღჭურვილია უსაფრთხო სათამაშო ინვენტარით, დაწესებულებათა 96%-ში, თუკი აღსაზრდელებისთვის გათვალისწინებულია შუადღის ძილი, არის საკმარისი საძინებელი ავეჯი, დაწესებულებათა 96%-ში ხელმისაწვდომია საკმარისი რაოდენობის, ბავშვის ზომის უსაფრთხო ავეჯი (მაგიდები, სკამები და რბილი ინვენტარი), დაწესებულებათა მხოლოდ 35%-ში ფიზიკური გარემო არის ადაპტირებული სხვადასხვა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისა და პირებისათვის. წყლის, ჰიგიენისა და და სანიტარიის პირობები: წყლის მომარაგების სისტემა არის ცენტრალიზებული დაწესებულებათა 98%-ში, უზრუნველყოფილია ცხელი წყალი სამზარეულოსა და საპირფარეშოებში 100%-ში, აქვს ცენტრალიზებული კანალიზაციის სისტემა დაწესებულებათა 86%-ს, აქვს ცენტრალიზებული გათბობის სისტემა დაწესებულებათა 88%-ს, არის სათანადო ბუნებრივი ვენტილაცია დაწესებულებათა 86%-ში, არის სათანადო ცენტრალიზებული ვენტილაცია დაწესებულებათა 78%-ში, არის სათანადო ბუნებრივი განათება - 96%-ში, არის სათანადო ხელოვნური, დამატებითი დღის განათება - 94%-ში და სხვ. სასკოლო-შემეცნებითი მზაობა: სათანადო რაოდენობით არის სასწავლო-შემეცნებითი მასალები (სახატავი, საძერწი მასალები, ბურთები, სათამაშოები, მუსიკალური ინსტრუმენტები, საბავშვო ლიტერატურა, ასაწყობი სათამაშოები და სხვ.) დაწესებულებათა 93%-ში. სამედიცინო მზაობა: ბათუმში მოქმედ ყველა დაწესებულებას აქვს სამედიცინო პუნქტი ან სამედიცინო ჩანთა და ყველა დაწესებულებაში ხელმისაწვდომია პირველი დახმარების ნივთები. კვების ბლოკი: ყველა დაწესებულებას აქვს კვების ბლოკი და ბავშვები ყოველდღიურად იღებენ შემდეგ საკვებს: პურს ან/და მარცვლეულს, ხილს ან/და ბოსტნეულს, რძეს ან/და რძის პროდუქტს, საქონლის მჭლე ხორცს, ფრინველის ხორცს, თევზს, კვერცხს, პარკოსნებს, თხილეულს ან/და თესლეულს, დაწესებულებებს აქვთ წინასწარ შემუშავებული მენიუ ბავშვების ასაკის შესაბამისი ენერგეტიკული და კვებით მოთხოვნილების მიხედვით, აღსაზრდელთა კვების რეჟიმი შედგება 3 ძირითადი კვების (საუზმე, სადილი, ვახშამი) და 3 წახემსებისგან და სხვ. ადრეული ასაკისა და სკოლამდელი აღზრდის პროგრამული მართვის საკითხები: ყველა დაწესებულებას გააჩნიათ საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი

სასწავლო პროგრამა, რომელიც განახლდა ბოლო 2 წლის მანძილზე, ყველა დაწესებულებაში ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა, მხოლოდ 9 დაწესებულებაში მოქმედებს საკონსულტაციო საბჭო და მხოლოდ 11 დაწესებულებას გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების კითხვარი/სისტემა და სხვ. უსაფრთხოებისა და ძალადობის პრევენციის საკითხები: 49-ვე დაწესებულებას აქვს საევაკუაციო გეგმა, 45 დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში შესულია საგანგებო მდგომარეობის მართვის/ქცევის წესები, 42 დაწესებულებას ჰყავს პასუხისმგებელი პირი ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისთვის და ბავშვთა ძალადობისგან დაცვისთვის, 43 შენობას აქვს საავარიო გასასვლელები და სხვ. მონიტორინგი და შეფასება: ბოლო 12 თვის მანძილზე მონიტორინგი/შეფასება/შემოწმება ჩატარდა 47 დაწესებულებას. მათ შორის მუნიციპალიტეტის სამსახურების მიერ - 42 დაწესებულებას, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ - 1 დაწესებულებას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უწყების მიერ - 40 დაწესებულებას.

პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის გავლის წესის მიღებისთანავე მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ დადგენილი პროცედურებისა და წესების დაცვით ბათუმში მოქმედი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეტაპობრივ ავტორიზაციას. რა დროსაც განხორციელდება ქალაქში არსებული კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოკვლევა მათი შემდგომი ავტორიზაციის მიზნით და დაწესებულებათა რეესტრის განახლება/წარმოება, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფორმირება სკოლამდელი აღზრდის და განათლების სტანდარტების, ავტორიზაციის პირობებისა და წესების თაობაზე, დაწესებულების პირობების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება, მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფუძნება დამოუკიდებელ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად და სხვ.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და/ან სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგს განხორციელებს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული მონიტორინგის გუნდის მეშვეობით.

მონიტორინგი განხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და/ან სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების პროცესის პარალელურად წელიწადში ერთხელ, სტრუქტურული ერთეულის მიერ წინასწარ შემუშავებული წლის განრიგის მიხედვით. მონიტორინგი განხორციელდება სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასასრულს, დაწესებულების საბაზისო მაჩვენებლის და სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქში არსებული კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოკვლევა და დაწესებულებათა რეესტრის წარმოება;
- ✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფორმირება სკოლამდელი აღზრდის და განათლების სტანდარტების, ავტორიზაციის დებულებისა და მონიტორინგის პრინციპების თაობაზე;
- ✓ მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფუძნება;
- ✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია;
- ✓ მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ყველა საჭირო მიმართულებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ჯგუფების შექმნა;

✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგი.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგვლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგვლენა	რისკის ქულა
1.	ქალაქში არსებული კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოკვლევა და დაწესებულებათა რეესტრის წარმოება	კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შესახებ არაასრული ინფორმაციის არარსებობა	3	4	12	სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობა სრული ინფორმაციის მოპოვების მიზნით	1	2	2
2.	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფორმირება სკოლამდელი აღზრდის და განათლების სტანდარტების, ავტორიზაციის დებულებისა და მონიტორინგის პრინციპების თაობაზე	კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შესახებ არაასრული ინფორმაციის არარსებობა	3	4	12	სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობა სრული ინფორმაციის მოპოვების მიზნით	1	2	2
	სტანდარტების, ავტორიზაციის დებულებისა და მონიტორინგის პრინციპების თაობაზე	რეფორმის სხვადასხვა მოთხოვნებთან დაწესებულებების არასათანადო მზაობა	3	4	12	დაწესებულებების პერსონალთან რეგულარული სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა	2	3	6
3.	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფუძნება	გართულებება შესყიდვების პროცედურების წარმოება	3	4	12	შესყიდვების პროცედურების წარმოება უზრუნველყოს კვლავ ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ“	1	2	2
4.	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების	მსგავსი გამოცდილების არარსებობა	3	4	12	რეგულარული კონსულტაცია შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან	2	3	6

	ეტაპობრივი ავტორიზაცია	უკმაყოფილება საზოგადოების მხრიდან	2	3	6	მიზნობრივ ჯგუფებთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის აუცილებლობის თაობაზე	1	2	2
5.	მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ყველა საჭირო მიმართულებით მაღალკვალიფიციუ რი სპეციალისტებით დაკომპლექტებული ჯგუფების შექმნა	ადამიანური რესურსის ნაკლებობა	3	4	12	ადგილობრივი კადრების გადამზადება, რომლებიც შემდეგ უზრუნველყოფენ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგს, შესაბამისი უწყებებთან თანამშრომლობა დარგის სპეციალისტების ჯგუფში ჩართვის მიზნით	1	2	2
6.	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგი	რიგი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო ამ დაწესებულებათა ფუნქციონირების შეწყვეტა	2	3	6	მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს მიზნობრივ ჯგუფებთან რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების გამართვას და ავტორიზაციის/მონი ტორინგის მოთხოვნების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას	1	2	2

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები;

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

- დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	ქალაქში არსებული კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოკვლევა და დაწესებულებათა რეესტრის წარმოება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფორმირება სკოლამდელი აღზრდის და განათლების სტანდარტების, ავტორიზაციის დებულებისა და მონიტორინგის პრინციპების თაობაზე		x	x	x								
2020 - 2021	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფუძნება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020	მონიტორინგის ჯგუფების შექმნა	x	x										
2020 - 2021	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგი		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;
- ❖ ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა;

- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა რეესტრი;
- ❖ ცალკე იურიდიულ პირებად ჩამოყალიბებული მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა რაოდენობა;
- ❖ ავტორიზებული სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებათა რაოდენობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შეფასებები.

სტრატეგიული მიმართულება 2

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე

ხელმისაწვდომობის გაზრდა

- 2.1. ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების მშენებლობა და არსებული შენობების რეაბილიტაცია/ვაუჩერიზაციის მოდელის დანერგვა;
- 2.2. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

2.1. ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების მშენებლობა და არსებული შენობების რეაბილიტაცია/ვაუჩერიზაციის მოდელის დანერგვა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, მაღალი ხარისხის სკოლამდელი აღზრდასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაზრდილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლებაზე ხელმისაწვდომობა.

პროგრამის აღწერა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამ უფლებამოსილების ფარგლებში 2012 წლიდან ქ. ბათუმში 8 ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება აშენდა და დამატებით 2 000-ზე მეტ აღსაზრდელს მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური მომსახურებით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქალაქში პრობლემად რჩება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს მიღმა დარჩენილ აღსაზრდელთა რაოდენობა, რომლებსაც არ ეძლევათ საშუალება განათლების პირველი, უმნიშვნელოვანესი რგოლის სერვისის მიღებისა. ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. 2018 წლის მონაცემებით, ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც მიმართეს მუნიციპალიტეტში მოქმედ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, მაგრამ ვერ მიიღეს რეგისტრაცია 800-მდეა.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია იზრუნოს ბავშვის განვითარებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისის უზრუნველყოფასთან. განათლების მიღება ყველა ბავშვის უფლებაა. ყველა ბავშვს აქვს უფლება, რომ მისთვის ხელმისაწვდომი იყოს სკოლამდელი აღზრდა და განათლება.

პროგრამა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ითვალისწინებს სახელმწიფო სტანდარტების დაცვით ახალი მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მშენებლობას და არსებულის რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან კონსულტაციებითა და მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, განისაზღვრება უბნები. მომზადდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც აშენდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ახალი შენობები ან არსებულ შენობებს ჩაუტარდებათ რეაბილიტაცია.

ასევე, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დაწესებულებების სრული ავტორიზაციის შემდეგ, პროგრამა ითვალისწინებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემაში ვაუჩერიზაციის მოდელის დანერგვას. ვაუჩერების სისტემა, გულისხმობს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების (სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) დაფინანსებას აღსაზრდელთა რაოდენობის მიხედვით. ვაუჩერი, მუნიციპალიტეტის მიერ აღსაზრდელზე გამოყოფილი თანხა, მიბმული იქნება აღსაზრდელზე. შესაბამისად, რომელ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაშიც მეტი აღსაზრდელი იქნება, იმ დაწესებულებას მეტი დაფინანსება ექნება. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ვაუჩერული დაფინანსება დაწესებულებებს შორის კონკურენციის საფუძველს შექმნის, რის ხარჯზეც გაუმჯობესდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესი, საგანმანათლებლო პერსონალის კვალიფიკაცია, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და სხვ. ვაუჩერული დაფინანსებისას სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები შეეცდებიან, მეტი ბავშვი მიიზიდონ, რაც გაზრდის სკოლამდელი აღზრდისა და განათლებაზე ხელმისაწვდომობას და მინიმუმამდე დაიყვანს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიღმა დარჩენილ ბავშვთა რაოდენობას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადება;
- ✓ სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობა;
- ✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ვაუჩერის გაცემა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დამღვეის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო პროექტების მომზადება	არასრულფასოვანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	3	3	9	კონსულტაციები საპროექტო ორგანიზაციასთან, პროფესიონალი თანამშრომლების ჩართულობა	2	3	6

2.	სკოლამდელი ალზრდისა და განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობა	სამუშაოების განმახორციელებლის მიერ ვალდებულების დაგვიანებით და დაბალი ხარისხით შესრულება	3	4	12	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ხშირი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება	2	3	6
3.	სკოლამდელი ალზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ვაუჩერის გაცემა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით	2	2	4

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ სკოლამდელი ალზრდისა და განათლების დაწესებულებები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სკოლამდელი ალზრდისა და განათლების დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“;

ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	სკოლამდელი ალზრდისა და განათლების დაწესებულებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო პროექტების მომზადება	x	x	x									
2019 - 2021	სკოლამდელი ალზრდისა და განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობა			x	x	x	x	x	x	x	x	x	x

2021	სკოლამდელი ალზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ვაუჩერის გაცემა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
------	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ სკოლამდელი ალზრდისა და განათლების დაწესებულებების ახალი შენობების რაოდენობა;
- ❖ რეაბილიტირებული სკოლამდელი ალზრდისა და განათლების არსებული დაწესებულებების რაოდენობა;
- ❖ სკოლამდელი ალზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა, რომლებზეც გაცემულია ვაუჩერი.

2.2. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სისტემური ადაპტაცია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის. სისტემის მიერ, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის ისეთი სერვისების მიწოდება და პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა თანატოლებთან ინტეგრირებას.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ხელმისაწვდომია მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, გამჭვირვალე, ინკლუზიური, ანგარიშვალდებულების პრინციპზე დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემა.

პროგრამის აღწერა

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი დისკრიმინაციული გამოწვევის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა სხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიუხედავად.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტერმინი „ინკლუზია“ დიდი ხანია სიახლეს აღარ წარმოადგენს. საქართველო პირველ ნაბიჯებს დგამს ინკლუზიურ საზოგადოებად ქცევის გზაზე. ჯანსაღი სოციალური უნდა უზრუნველყოფდეს განათლებას შეუზღუდავ გარემოში, იმის რწმენას, რომ შეზღუდული უნარების მქონე ინდივიდები თანატოლებთან ერთად ისწავლიან. სასწავლო სტანდარტი განსხვავებულ შესაძლებლობას უნდა ესადაგებოდეს, ბავშვი კი არ უნდა ერგებოდეს სისტემას, პირიქით, სისტემა უნდა მოერგოს თითოეული აღსაზრდელის შესაძლებლობასა და საჭიროებებს. ინკლუზია საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც თავის თავში უამრავ რამეს გულისხმობს. ის ადრეულ ასაკში, ბავშვის განვითარების შეფერხების გამოვლენისთანავე იწყება. განვითარების ადრეულ საფეხურზე უფრო ადვილია ინდივიდის სოციალური, ემოციური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარება. ამიტომ ორმაგად მნიშვნელოვანია განვითარების შეფერხების მქონე ბავშვის ადრეული ინტეგრაცია.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ინკლუზიური განათლება ასე არის განმარტებული „ინკლუზიური განათლება არის

საგანმანათლებლო მიდგომა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მიუხედავად ბავშვების ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა“. ინკლუზიური განათლების იდეის მიზანია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა - განათლებასა და განვითარებაზე სრული ხელმისაწვდომობისათვის და სოციალური ინტეგრაციისთვის. ინკლუზიური განათლების გამოცდილების მქონე ქვეყნებში (ნორვეგია, გერმანია, ფინეთი, დანია, ამერიკის შეერთებული შტატები) ჩატარებული კვლევების მიხედვით, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული საბავშვო ბაღის გარემო მათთვის განვითარების სხვადასხვა სფეროში წარმატების მიღწევის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ გარემოს განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს ინკლუზიური განათლების ხარისხიან დაგეგმვა-განხორციელებისათვის.

სკოლამდელი ასაკი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ბავშვის განვითარებაში. ამ დროს ყალიბდება ყველა ის ძირითადი უნარი, რომელსაც შემდგომ ბავშვი იყენებს, როგორც სკოლაში, ასევე, ზოგადად, მთელი ცხოვრების განმავლობაში. საქართველოში სკოლამდელი განათლების ახალი მოდელის ორგანიზება საშუალებას აძლევს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს ხელი შეუწყონ ბავშვების მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას. ადრეულ ასაკში მიღებული ხარისხიანი განათლება დაეხმარება ბავშვებს იყვნენ უფრო წარმატებულები განათლების შემდეგ ეტაპებზე. ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდა არის საფუძველი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს განათლების შემდგომი ეტაპი.

განვითარების ყველა სფეროში ბავშვების სრული პოტენციალის გამოვლენისთვის უმნიშვნელოვანესია უზრუნველყოფილი იყოს მათი საჭიროებებისადმი, ინტერესებისა და შესაძლებლობებისადმი მორგებული გარემო და სასწავლო პრაქტიკა.

აუტიზმის მქონე ბავშვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლებისა და განვითარებისათვის ადეკვატურად შერჩეულ ინდივიდუალურ პროგრამებს, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ურთიერთობის, სოციალური დასწავლის, ქცევისა და ყოველდღიური ცხოვრების ჩვევების გასაუმჯობესებელი მეთოდები. ეს უნდა მიმდინარეობდეს ძლიერ სტრუქტურირებულ და კარგად ორგანიზებულ სასწავლო-განმავითარებელ გარემოში. ბავშვი უნდა სწავლობდეს და ვითარდებოდეს მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმით და ინდივიდუალიზებული სასწავლო-განმავითარებელი პროგრამით. ბაღის ოთახი ისე უნდა მოეწყოს, რომ ხელს უწყობდეს პროგრამის რეალიზებას. როდესაც აუტიზმის მქონე ბავშვებს ინფორმაცია მიეწოდებათ როგორც სიტყვიერად, ისე ვიზუალურად, ისინი მასალას უკეთ ითვისებენ და ნაკლებად იბნევიან. ასევე, მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი განვითარების მქონე თანატოლებთან ურთიერთობა, რადგან თანატოლები იძლევიან საუბრის, სოციალური და ქცევის ჩვევების მაგალითებს.

დღეისათვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში თანდათან მატულობს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთა რაოდენობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მათი მრავალფეროვნების აღმოჩენას და აღიარებას, დაცვას და ხელშეწყობას, რაც, თავისთავად, ყოველგვარი განსხვავებულობის ცნების აღმოფხვრას გულისხმობს.

ამდენად, ინკლუზიური განათლების ძირითადი ღირებულებებია: ბავშვების სოციალური ინტეგრაცია; თანადგომისა და ურთიერთდახმარების გარემოს შექმნა; განსხვავებულობის აღიარება და პატივისცემა; ყურადღების გამახვილება არა შეზღუდვასა და სისუსტეებზე, არამედ ძლიერ

მხარეებზე; ყველა ბავშვისთვის ეფექტიანი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო პირობების შექმნა; ბავშვებში თანასწორობის სოციალური ღირებულების დანერგვა.

დაწესებულება ვალდებულია გააგრძელოს ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართული ბავშვისთვის განათლების მიწოდება, თუ, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ არ არის მიზანშეწონილი მისი სკოლაში შესვლა, მიუხედავად შესაბამისი ასაკისა.

სასკოლო მზაობის პროგრამის ამოქმედების მიუხედავად, სკოლამდელი განათლების სისტემის აწყობა და განვითარება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. გასათვალისწინებელია, რომ ნაკლებად ხდება ინკლუზიური სკოლამდელი განათლების პრინციპების ინტეგრირება აღზრდის პროცესში. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო რესურსების არარსებობა. სკოლამდელი განათლების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი როლი მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამების და რეკომენდირებული აქტივობების განსაზღვრას, სასწავლო და განმავითარებელი მასალის შექმნას, პერსონალისთვის მეთოდოლოგიური და საგანმანათლებლო რესურსების განვითარებასა და მშობელთა განათლების პროგრამების განხორციელებას, ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით მოეწეობა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და ადაპტირდა საგანმანათლებლო რესურსები შშმ პირებისათვის.

ინკლუზიური ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ეტაპობრივად, ხელი შეეწყობა ადაპტირებული გარემოს განვითარებას, რაც გულისხმობს ადაპტირებულ სასწავლო მასალებისა და ინფრასტრუქტურის, ასევე, სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტისა და აღსაზრდელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას, კვალიფიციური პერსონალისა და შესაბამისი მხარდაჭერის სერვისების განვითარების ხელშეწყობას.

პროგრამის ფარგლებში, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისათვის, მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, მოეწყობა სენსორული ინტეგრაციის ოთახი, სადაც აღსაზრდელებს მომსახურებას გაუწევს გადამზადებული აღმზრდელ-პედაგოგი და ამ სფეროს სპეციალისტი-ოკუპაციური თერაპევტი.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა;
- ✓ ინკლუზიური განათლების მიმართულებით აღმზრდელ - პედაგოგთა და აღმზრდელთა გადამზადება;
- ✓ დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ადაპტირება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა	რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა
---	------------------------	---------------	-------------	------------------------------	-------------

			მოხდენის აღზომა	ზეგვლენა	რისკის ქულა		მოხდენის აღზომა	ზეგვლენა	რისკის ქულა
1.	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა	მომსახურების განმახორციელებლ ის მიერ არასათანადო ხარისხის საგანმანათლებლო რესურსის მოწოდება	3	4	12	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მომწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულებაზე მონიტორინგი	1	2	2
2.	ინკლუზიური განათლების მიმართულებით აღმზრდელ პედაგოგთა და აღმზრდელთა გადამზადება	ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენერთა ნაკლებობა	3	4	12	შესაბამის დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობა	2	3	6
3.	დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ადაპტირება და შესაბამისი მატერიალურ- ტექნიკური ბაზით აღჭურვა	სამუშაოების განმახორციელებლ ის მიერ ვალდებულების დაგვიანებით და დაბალი ხარისხით შესრულება	3	4	12	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მომწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულებაზე ხშირი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები;

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;
 ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“;
 ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020-2021	ინკლუზიური განათლების მიმართულებით აღმზრდელ - პედაგოგთა და აღმზრდელთა გადამზადება				x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ადაპტირება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა				x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა რაოდენობა, რომელთა უზრუნველყოფა მოხდა საგანმანათლებლო რესურსით;
- ❖ გადამზადებულ აღმზრდელთა და პედაგოგთა რაოდენობა;
- ❖ ადაპტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები.

სტრატეგიული მიმართულება 3

ზოგადი განათლების ხელმისწვდომობის გაზრდა

- 3.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
- 3.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის;
- 3.3. დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების დაფინანსება.

3.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირების უზრუნველყოფა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ზოგადი განათლების მიღებისა და მათთვის განათლებისა და განვითარებისთვის აუცილებელი სერვისის მიწოდება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართვა და სოციალური ინტეგრაცია.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ზოგადი განათლების მიღება ყველა ბავშვისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია.

პროგრამის აღწერა

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია და დეკლარირებულია როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი.

ბოლო წლებში განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში.

საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისა და მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის - კვლევის ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს ტრანსპორტით უზრუნველყოფილნი არიან სკოლათა მესამედის მოსწავლეები (თუმცა, შემთხვევათა მხოლოდ 19%-ში ემსახურება სკოლის ტრანსპორტი ყველა სსსმ მოსწავლეს). ამასთან, ტრანსპორტირების საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ მშობელთა 75% სკოლის არჩევისას უპირატესობას ადგილმდებარეობას ანიჭებს. სსსმ მოსწავლეებისათვის სასკოლო ტრანსპორტის არარსებობა მშობლების უმეტესობას არჩევანში საკმაოდ ზღუდავს და სკოლებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილიდან შედარებით შორსაა, ფიზიკურად ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის. საბოლოო ჯამში, სკოლის ფიზიკური გარემოს ნაკლები ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან მაკრო ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ინკლუზიური სწავლების დანერგვისა და განხორციელების პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა, ვინაიდან, ფიზიკური სივრცის დაბალი ხელმისაწვდომობა პირდაპირ აისახება სოციალურ მიმდებლობაზე. ფიზიკური გარემო, რომელიც არ ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს, ამ უკანასკნელებს აყენებს არათანაბარ

მდგომარეობაში და ზრდის მასტიგმატიზირებული აღქმების გაჩენის/გამძლიერების საფრთხეს. ადაპტირებული გარემო მოსწავლეთათვის არის ერთ-ერთი გარანტია იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები ნაკლებად იქნება მიწერილი მოსწავლის ინდივიდუალურ შეზღუდვებზე და უფრო მეტად გარემოზე, რომელიც ბარიერებს ქმნის.

ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. ყოველწლიურად იზრდება ინკლუზიური განათლების ხარისხი და ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობა.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ზოგადი განათლების მიღება. სწორედ ამ მიზნით განხორციელდება პროგრამა და მის ფარგლებში მოხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სატრანსპორტო მომსახურება.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის რესურსცენტრთან კოორდინირებულად იმ სკოლებისა და მარშრუტების განსაზღვრა, რომელსაც მოემსახურება სატრანსპორტო საშუალება;
- ✓ მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების შესასყიდად სატენდერო პროცედურების განხორციელება;
- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებამდე.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ლონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დამღევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგვლეუნი	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგვლეუნი	რისკის ქულა
1.	ბათუმის რესურსცენტრთან კოორდინირებულა და სკოლებისა და მარშრუტების განსაზღვრა	მოწოდებული ინფორმაციის უზუსტობა	3	4	12	მოწოდებული ინფორმაციის დეტალური შესწავლა და შესაბამისი კორექტირება	2	3	6
2.	მომსახურების შესასყიდად სატენდრო პროცედურების განხორციელება	მომზადებული სატენდრო დოკუმენტაციის ხარვეზი	2	3	6	დოკუმენტაციის დეტალური გადახედვა და შესაბამისი კორექტირების შეტანა სატენდრო პროცედურების დაწყებამდე	1	2	2
3.	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებამდე	მომსახურების განმახორციელებლის მიერ ვალდებულების დაგვიანებით და დაბალი ხარისხით შესრულება	3	4	12	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მომწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულებაზე მონიტორინგი	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ ბათუმის რესურსცენტრი;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	ბათუმის რესურსცენტრთან კოორდინირებულად სკოლებისა და მარშრუტების განსაზღვრა											x	x
2019 - 2021	მომსახურების შესასყიდად სატენდრო პროცედურების განხორციელება											x	x
2019 - 2021	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებამდე	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ტრანსპორტირების სერვისით.

3.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა, მათი სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია და სოციალური რეაბილიტაცია.

პროგრამის აღწერა

ყველას აქვს ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის.

საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისა და მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის - კვლევის ანგარიშის (2017 წელი), თანახმად: ძირითად სკოლების შენობები თავიანთი პირველადი სახით შშმ პირთათვის არაადაპტირებული ნაგებობებია - მათი პროექტირებისას არ იყო გათვალისწინებული მათი ფიზიკური სივრცის ხელმისაწვდომობა შშმ პირებისათვის.

აქედან გამომდინარე, ინკლუზიური სწავლების დანერგვის შემდეგ სკოლების ადმინისტრაციებს უწევთ მემკვიდრეობით მიღებული ფიზიკური გარემოს მოდიფიცირება და ამისათვის ფინანსური რესურსების მოძიება/აკუმულირება. როგორც რაოდენობრივი კვლევის მონაცემები აჩვენებს, ამ გამოწვევას საჯარო სკოლები ნაკლები წარმატებით ართმევენ თავს. არაადაპტირებული ფიზიკური გარემოს პრობლემა სხვადასხვა მიზეზთანაა დაკავშირებული, რომლებიც შესაძლებელია, ორ ძირითადზე დავიყვანოთ - პირველი, სკოლის ადმინისტრაციის ნების არსებობა/არარსებობაზე, რომ გახადოს საკუთარი ფიზიკური სივრცე შშმ პირებისათვის უფრო შეღწევადი და მეორე, სარემონტო და სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო შესაბამისი ფინანსური რესურსის ქონა/არქონა. მონიტორინგის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ ზოგადად, სკოლები ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებულ უმეტეს ასპექტზე თანხას თითქმის არ ხარჯავენ. აღნიშნული ეხება როგორც ფიზიკური გარემოს ადაპტირებას, ისე ტრანსპორტირებას, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლის ფიზიკური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში, მათ შორის სპორტულ აქტივობებში, თანატოლებთან ერთად. სპორტი გავლენას ახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე, ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებასა და ადამიანთა ქცევაზე, მას გააჩნია როგორც აღმზრდელობითი, ასევე, გამაჯანსაღებელი ფუნქცია.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და მათი საზოგადოებაში ადაპტაციისათვის ბევრი რამ გაკეთდა, მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ამ მიმართულებით.

პროგრამა სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სკოლებში, სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სპორტული დარბაზების მოწყობას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის რესურსცენტრთან კოორდინირებულად იმ სკოლების შერჩევა, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის მოეწყობა შესაბამისი სპორტული დარბაზები;
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირებისათვის და ახალი ადაპტირებული დარბაზების მოწყობისათვის ტექნიკური დავალების შემუშავება;
- ✓ სპორტული დარბაზების ადაპტირების და ადაპტირებული სპორტული დარბაზების მოწყობის მომსახურების შესყიდვა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ლონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ბათუმის რესურსცენტრთან კოორდინირებულად იმ სკოლების შერჩევა, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის მოეწყობა შესაბამისი სპორტული დარბაზები	მოწოდებული ინფორმაციის უზუსტობა	3	4	12	მოწოდებული ინფორმაციის დეტალური შესწავლა და შესაბამისი კორექტირება	2	3	6
2.	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირებისათვის და ახალი ადაპტირებული დარბაზების მოწყობისათვის ტექნიკური დავალების შემუშავება	გამოცდილების არარსებობა მსგავსი დოკუმენტის მომზადების მიმართულებით	2	3	6	ტექნიკური დავალების მომზადებისას შესაბამისი გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	1	2	2
3.	სპორტული დარბაზების ადაპტირების და ადაპტირებული სპორტული დარბაზების მოწყობის მომსახურების შესყიდვა	მომსახურების განმახორციელებლის მიერ ვალდებულების დაგვიანებით და დაბალი ხარისხით შესრულება	2	3	6	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მხრიდან ხშირი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება	1	2	2

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ბათუმის რესურსცენტრი;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;

ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	ბათუმის რესურსცენტრთან კოორდინირებულად იმ სკოლების შერჩევა, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის მოწყობა შესაბამისი სპორტული დარბაზები											x	x
2020 - 2021	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირებისათვის და ახალი ადაპტირებული დარბაზების მოწყობისათვის ტექნიკური დავალების შემუშავება		x	x									
2020 - 2021	სპორტული დარბაზების ადაპტირების და ადაპტირებული სპორტული დარბაზების მოწყობის მომსახურების შესყიდვა							x	x				

შედეგების შეფასების ინდიკატორები

❖ ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ადაპტირებული სპორტული დარბაზების რაოდენობა.

3.3. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების დაფინანსება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, იმ მოსწავლეებისათვის რომლებმაც ვერ დაძლიეს ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხური და აქვთ სურვილი სწავლის გაგრძელების, მიეცეთ სწავლის დასრულების შესაძლებლობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაიზრდება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა.

პროგრამის აღწერა

საქართველოში უზრუნველყოფილია უწყვეტი საყოველთაო ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში. მიუხედავად აღნიშნულისა, სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა აკადემიური შედეგები კვლავ გამოწვევად რჩება. სკოლის დამამთავრებელ გამოცდებზე მოსწავლეთა დიდ ნაწილს მინიმალური კომპეტენციების დადასტურება უჭირს და ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ვერ იღებს.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია საბაზო საფეხურის ეროვნული ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, ან 3 წლის განმავლობაში ვერ დაძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ, სამეურვეო საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, შეიძლება აანაზღაუროს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ხარჯები.

ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, მოსწავლე ვერ ახერხებს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევას, შემდგომ აქვს სურვილი სწავლის გაგრძელების, ხოლო ოჯახს არ გააჩნია საშუალება სწავლისათვის საჭირო თანხა შეიტანოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. სწორედ ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია დაფინანსდეს მოსწავლის სწავლა, რათა მას მიეცეს სტიმული და შესაძლებლობა სამომავლო გეგმების მისაღწევად.

პროგრამა ითვალისწინებს ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ მოსწავლეთა სწავლის დაფინანსებას, რომლებმაც ვერ დაძლიეს ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხური და აქვთ სწავლის გაგრძელების სურვილი.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის რესურსცენტრებთან კოორდინირებულად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;
- ✓ პროგრამის მართვის მიზნით დებულების შემუშავება და დამტკიცება;
- ✓ მოსწავლეთა სწავლის დაფინანსება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა

1.	ბათუმის რესურსცენტრებთან კოორდინირებულად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება	დაბალი ინტერესი	3	4	12	პროექტის მნიშვნელობაზე მოსწავლეების ინფორმირებულობა	2	3	6
2.	პროგრამის მართვის მიზნით დებულების შემუშავება და დამტკიცება	არსებულ რეალობასთან შეუსაბამო კრიტერიუმების დადგენა	2	3	6	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი შეხვედრების მოწყობა და სიტუაციური კვლევების ჩატარება	1	2	2
3.	მოსწავლეთა სწავლის დაფინანსება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით	2	2	4

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ბათუმის რესურსცენტრი;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	ბათუმის რესურსცენტრებთან კოორდინირებულად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება								x		x		x

2020 - 2021	პროგრამის მართვის მიზნით დებულების შემუშავება და დამტკიცება	x											
2020 - 2021	მოსწავლეთა სწავლის დაფინანსება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებზე დამსწრე პირთა რაოდენობა;
- ❖ დაფინანსებულ მოსწავლეთა რაოდენობა.

სტრატეგიული მიმართულება 4

საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარება

- 4.1. ბათუმის უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა;
- 4.2. საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარების მხარდაჭერა;
- 4.3. ბათუმის უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერა.

4.1 ბათუმის უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ბათუმელ ლექტორ-მასწავლებლების საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაზრდილია საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ბათუმელ ლექტორ - მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა.

პროგრამის აღწერა

ბათუმი, შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული დანიშნულების ადგილია. ქალაქი ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება. ბათუმში, საგანმანათლებლო ტურიზმი დაკავშირებულია ქალაქში არსებული უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ცნობადობის გაზრდასთან. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბათუმის უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ცნობადობის გაზრდას განათლების საერთაშორისო ბაზარზე. ბათუმში არსებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებათა განვითარება და ცნობადობის გაზრდა, იქნება გარანტი უფრო მეტი უცხოელის მოზიდვისა ბათუმის უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესმა ბოლო წლების განმავლობაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. ინტერნაციონალიზაცია მოიცავს აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებსა და კვლევითი პროექტების ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობას. ამ მიმართებით თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემოს შექმნა, ხარისხის უზრუნველყოფა, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაფართოება და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ინტეგრაცია უმნიშვნელოვანესია.

დღესდღეობით, ბათუმის უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მიაღწიეს განვითარების იმ დონეს, როცა მათ შეუძლიათ საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარს შესთავაზოს პოტენციურად კონკურენტული პროდუქტი და ამით გაზარდოს ქალაქის ინტელექტუალური და ეკონომიკური შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანია ინოვაციური სამეცნიერო კვლევების ხარისხის, მნიშვნელობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის უზრუნველყოფით ქალაქში მკვლევართა ახალი თაობების მომზადება, ბათუმის სამეცნიერო საზოგადოების კვლევითი პოტენციალის ზრდა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ბათუმელ მეცნიერთა ინტეგრირების მხარდაჭერა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, პირველ ეტაპზე ხელს შეუწყობს ქალაქ ბათუმის უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ - მასწავლებლების უცხოეთში სტაჟირებას, მეცნიერთა პროფესიული ზრდის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, საერთაშორისო - სამეცნიერო საზოგადოებასთან ინტეგრირების მიზნით.

პროგრამა ითვალისწინებს ბათუმში მოქმედი უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა მხარდაჭერას, რომლებიც პროფესიულ სტაჟირებას გაივლიან აშშ-ში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე თურქეთსა და შვეიცარიაში.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობას, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყოს ქართველი მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტირებულ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მუდმივად ან ხელშეკრულებით მომუშავე ლექტორ-მასწავლებლებს, მეცნიერებს – აკადემიური ხარისხის (მაგისტრი, დოქტორი) ან სამეცნიერო წოდების (მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი) მქონე მოქალაქეებს.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ლექტორ-მასწავლებლებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;
- ✓ ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება;
- ✓ ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება;
- ✓ კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დამლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ლექტორ-მასწავლებლებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება	პროექტისადმი ლექტორ-მასწავლებელთა დაბალი ინტერესი	3	3	9	პროექტის მნიშვნელობის შესახებ ლექტორ-მასწავლებელთა ინფორმირებულობა	2	2	4
2.	ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება	არსებულ რეალობასთან შეუსაბამო კრიტერიუმების დადგენა	2	3	6	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი შეხვედრების მოწყობა და სიტუაციური კვლევების ჩატარება	1	2	2
3.	ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	კომისიაში მიმართულების მიხედვით სპეციალისტთა ნაკლებობა	2	3	6	მიმართულების მიხედვით უწყებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	1	2	2
4.	კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ლექტორ-მასწავლებლებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება	X											
2019 - 2021	ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება	X											
2019 - 2021	ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	X	X										
2019 - 2021	კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;
- ❖ ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ❖ სტაჟირებაში მონაწილე უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა რაოდენობა;
- ❖ საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა რაოდენობა.

4.2. საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარების მხარდაჭერა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირება, სამეცნიერო კონფერენციებში ახალგაზრდა თაობის ჩართვა მათი მხარდაჭერის, ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გააქტიურებულია ბათუმელ ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი საქმიანობა, გაფართოებულია საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან კონტაქტები, გაზრდილია საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევით პროექტებში ჩართულ ბათუმელ ახალგაზრდა მეცნიერთა რაოდენობა და ქალაქის ცნობადობა, გაძლიერებულია ბათუმის უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო პოტენციალი.

პროგრამის აღწერა

სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის უწყვეტი განვითარება სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრესის, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების და ეკონომიკის განვითარების და სტიმულირების აუცილებელი წინაპირობაა.

სწორედ ამ მიმართულებით აუცილებელია საზოგადოებაში მეცნიერების პოპულარიზაცია, კვლევის პროცესისადმი ინტერესის გაღვივება, განათლების და კვლევის პროცესის დაახლოების ხელშეწყობა. ასევე, საჯარო ლექციების, კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ორგანიზების გზით ახალგაზრდებს შორის მეცნიერებისადმი და კვლევებისადმი ინტერესის გაღვივება.

ქალაქის ცნობადობის გაზრდისა და უმაღლეს სასწავლებელთა გაძლიერების თვალსაზრისით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები უნიკალური შესაძლებლობაა, რათა უნივერსიტეტებმა წარმოაჩინონ თავიანთი სამეცნიერო პოტენციალი. მნიშვნელოვანია ნიჭიერ, ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისება, ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერა, კვლევების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა, კვლევითი უნარ-ჩვევებისა და თემატური, ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება, მკვლევართა ახალგაზრდა თაობის განვითარება და ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა, ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და გაუმჯობესება.

ქალაქის სამეცნიერო პოტენციალის უწყვეტი განვითარება მოითხოვს ახალგაზრდა კადრების მოზიდვას, მომზადებას და შენარჩუნებას მეცნიერების სექტორში. ახალგაზრდების მეცნიერებით დაინტერესება, მათი პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა, კარიერულ წინსვლაში ხელშეწყობა საჭიროებს სხვადასხვა მიმართულებით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების მხარდაჭერას.

კონფერენციების ჩატარება ხელს შეუწყობს სტუდენტებს შემოქმედებითი უნარის განვითარებაში, მოახდინოს სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირება და პროპაგანდირება სტუდენტთა შორის, წარმართოს საქმიანობა სტუდენტთა შორის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, უზრუნველყოს სტუდენტთა მონაწილეობა სხვადასხვა დონის სამეცნიერო კონფერენციებში, დაგეგმოს და განახორციელოს სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებითი ღონისძიებანი, დაამყაროს ურთიერთობები სამეცნიერო სფეროში სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.

აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის განვითარებასა და მის ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბათუმელ ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების (კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი) მხარდაჭერა.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ დაინტერესებულ მხარეებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;
- ✓ საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება;
- ✓ საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება;
- ✓ კონკურსის საფუძველზე საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების შერჩევა და დაფინანსება

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	დაინტერესებულ მხარეებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება	დაბალი ინტერესი	3	3	9	პროექტის მნიშვნელობის შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირებულობა	2	2	4
2.	საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება	არსებულ რეალობასთან შეუსაბამო კრიტერიუმების დადგენა	2	3	6	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი შეხვედრების მოწყობა და სიტუაციური კვლევების ჩატარება	1	2	2
3.	საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	კომისიაში მიმართულების მიხედვით სპეციალისტთა ნაკლებობა	2	3	6	მიმართულების მიხედვით უწყებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	1	2	2
4.	კონკურსის საფუძველზე საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების	2	3	6

	შერჩევა და დაფინანსება					მიზნით			
--	------------------------	--	--	--	--	--------	--	--	--

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2020 - 2021	დაინტერესებულ მხარეებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება	x											
2020 - 2021	საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება		x										
2020 - 2021	საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება		x										
2020 - 2021	კონკურსის საფუძველზე საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების შერჩევა და დაფინანსება			x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;
- ❖ ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ❖ ჩატარებულ საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების

რაოდენობა;

- ❖ ჩატარებულ საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა რაოდენობა.

4.3. ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების ცნობადობის გაზრდა განათლების საერთაშორისო ბაზარზე, სასწავლებლების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერის გზით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაზრდილია ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების ცნობადობა და კონკურენტუნარიანობა, ბათუმის უმაღლესი სასწავლებლებლებით დაინტერესებულია უფრო მეტი უცხოელი.

პროგრამის აღწერა

ბათუმში 3 სახელმწიფო და რამდენიმე უმაღლესი კერძო სასწავლებელია. მათგან საუკუნოვანი ისტორიით გამორჩეულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მისიაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ და აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარება, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება და ეკონომიკური ძლიერება, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აერთიანებს 9 ფაკულტეტს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, განათლების, ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, ტექნოლოგიურ და ტურიზმის ფაკულტეტებს. დღეისათვის, უნივერსიტეტში უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 6000-მდე სტუდენტი სწავლობს.

2011 წელს უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და აკრედიტაცია. სტუდენტებს სწავლების სამივე საფეხურზე პროგრამების დიდ არჩევანს სთავაზობს: 15 ავტორიზირებულ პროფესიულ, 44 საბაკალავრო, 29 სამაგისტრო, 15 სადოქტორო, 3 ერთსაფეხურიან და 3 მოკლევადიან პროგრამას. უნივერსიტეტი ინარჩუნებს ტრადიციულ, ფუნდამენტურ დარგებს და ამავე დროს, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ნერგავს და ავითარებს ახალ მიმართულებებს. ინტენსიურად გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები, მათ შორის, ელექტრონული სწავლება. უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდა არაერთი საერთაშორისო და ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი.

ბათუმისათვის, როგორც შავიზღვისპირა ქალაქისათვის უმნიშვნელოვანესია საზღვაო საქმის განვითარება. ამ მიმართულებით, 1994 წლიდან ქალაქში ფუნქციონირებს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სთავაზობს სტუდენტებს განათლების მიღების შესაძლებლობას საზღვაო ინდუსტრიის ფართო სპექტრში. აკადემიის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა დაიკავონ სამეთაურო თანამდებობები საზღვაო სავაჭრო გემების ეკიპაჟებში, საზღვაო კრუინგულ კომპანიებში და სხვა სახელმწიფო თუ კერძო სამსახურებში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებასთან, კონტროლთან და მართვასთან.

აკადემია ხელს უწყობს საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში განლაგებული სხვადასხვა საზღვაო დაწესებულების განვითარებას. ბათუმის, ფოთის და ყულევის ნავსადგურებთან და სუფსის ტერმინალთან ახლომდებარეობა კარგ პირობებს უქმნის აკადემიის სტუდენტებს მიიღონ სრულფასოვანი სასწავლო პრაქტიკა ხსენებული ნავსადგურების ბაზაზე, ამავე დროს აკადემია უზრუნველყოფს მათ კვალიფიცირებული კადრებით.

საზღვაო აკადემია (ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე) აქტიურად თანამშრომლობს საზღვაო კადრების მომზადების აღიარებულ საგანმანათლებლო ცენტრებთან რეგიონსა და მსოფლიოში, როგორებიცაა: ოდესის ნაციონალურ საზღვაო აკადემია (ONMA), აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (ASMA), ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საზღვაო აკადემია (EMA), გდინიის (GMU) და შეცინის (SMU) საზღვაო უნივერსიტეტები პოლონეთში, სტამბოლის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საზღვაო ფაკულტეტი (ITU MF), კონსტანცის საზღვაო უნივერსიტეტი (CMU) და სხვა.

საზღვაო აკადემიამ 2004 და 2006 წლებში წარმატებით გაიარა სახელმწიფო ინსტიტუციური აკრედიტაცია, 2011 წელს ავტორიზაცია, ბაკალავრიატის 5 და მაგისტრატურის 2 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია. 2012-2016 წლებში აკრედიტებულ პროგრამებს დაემატა ბაკალავრიატის 4 და მაგისტრატურის 5 საგანმანათლებლო პროგრამა. ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიის სტუდენტთა დასაშვებმა კონტიგენტმა შეადგინა - 3000 სტუდენტი, აქედან 500 სტუდენტი პროფესიული განათლების საფეხურზე.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია 2018 წლის 5 მარტის მდგომარეობით ახორციელებს: უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის – 9 საგანმანათლებლო პროგრამას; უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის – 5 საგანმანათლებლო პროგრამას; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას; პროფესიულ განათლების მე-3 საფეხურის 5, მე-4 საფეხურის 3 და მე-5 საფეხურის 2 საგანმანათლებლო პროგრამას; მოქმედ მეზღვაურთა კვალიფიკაციის განახლების/ამაღლების 39 საწვრთნელ კურსს; რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის მომსახურე პერსონალის მომზადების/გადამზადების 5 საწვრთნელ კურსს.

საგანმანათლებლო პროცესს ემსახურება 72 არჩეული პროფესორით დაკომპლექტებული აკადემიური პერსონალი: პროფესორი - 12; ასოცირებული პროფესორი - 43; ასისტენტ პროფესორი - 5; ასისტენტი - 11. სასწავლო პროცესში ასევე ჩართულია კონკურსის წესით შერჩეული 77 მოწვეული პედაგოგი, რომელთა უმრავლესობას აქვს ინდუსტრიაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მდიდარი წიგნადი და ელექტრონული სასწავლო რესურსების მქონე ბიბლიოთეკით და თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილი საწვრთნელი გემით, ლაბორატორიებით, კაბინეტებით, სიმულატორებით და საამქროებით. საგანმანათლებლო პროცესში აგრეთვე აქტიურად გამოიყენება საზღვაო აკადემიის პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობები, რომელიც კარგად ავითარებს სტუდენტთა ინდუსტრიაში საქმიანობისათვის

საჭირო უნარებს და ამით მკვეთრად ზრდის კურსდამთავრებულთა წარმატებული დასაქმების შესაძლებლობებს.

ბათუმი ქვეყნის ერთ-ერთი კულტურულ ცენტრს წარმოადგენს. აქ ყოველწლიურად საერთაშორისო ფესტივალი და ღონისძიება იმართება, რომელშიც ცნობილი მუსიკოსები, ხელოვანები, მსახიობები მონაწილეობენ. ქალაქისათვის უმნიშვნელოვანესია მძლავრი სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლის არსებობა.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში არის ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ერთდროულად ახორციელებს სწავლებას ხელოვნების რამდენიმე მიმართულებით: თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება. უნივერსიტეტში სწავლება ორსაფეხურიანია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა. მოქმედებს დიპლომირებული სპეციალისტის რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა და პროფესიული სწავლების IV და V საფეხურის პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ ქ. ბათუმში მოღვაწე ხელოვნების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოწვეული პროფესორები. ისინი ეწევიან აქტიურ პედაგოგიურ, პროფესიულ-სამეცნიერო და სამეცნიერო მოღვაწეობას.

2012 წლიდან ხელოვნების უნივერსიტეტი ევროპის ხელოვნების ინსტიტუტების ლიგის სრულუფლებიანი წევრია. უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო პროექტებში. პატრიორული ურთიერთობა აქვს დამყარებული 14 ქვეყნის 20-ზე მეტ უნივერსიტეტთან. ხელოვნების უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი და კონფერენცია, ორ წელიწადში ერთხელ - პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენცია, ასევე სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია.

ხელოვნების უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი მისია აკისრია რეგიონისა და ქვეყნის წინაშე - აღზარდოს სახელოვნებო დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შემოქმედებით წვლილს შეიტანენ ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და ფასეულობების განვითარებაში.

ბათუმში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაძლიერების, განვითარებისა და განათლების საერთაშორისო ბაზარზე მათი ცნობადობის გაზრდის მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს ბათუმში მოქმედ ყველა უმაღლესი სასწავლებლების მიერ ინიცირებული საუკეთესო, ინფრასტრუქტურული, ინოვაციური, კვლევითი თუ მეცნიერული პროექტების დაფინანსებას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;
- ✓ პროექტების შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება;
- ✓ პროექტების შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება;
- ✓ კონკურსის საფუძველზე პროექტების შერჩევა და დაფინანსება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ლონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	პროექტების შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება	არსებულ რეალობასთან შეუსაბამო კრიტერიუმების დადგენა	2	3	6	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი შეხვედრების მოწყობა და სიტუაციური კვლევების ჩატარება	1	2	2
2.	პროექტების შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	კომისიაში მიმართულების მიხედვით სპეციალისტთა ნაკლებობა	2	3	6	მიმართულების მიხედვით უწყებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	1	2	2
3.	კონკურსის საფუძველზე პროექტების შერჩევა და დაფინანსება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამის სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობა	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2021	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება	x											

2021	პროექტების შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება	x	x										
2021	პროექტების შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება		x										
2021	კონკურსის საფუძველზე პროექტების შერჩევა და დაფინანსება			x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;
- ❖ ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ❖ ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული თანადაფინანსებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა.

სტრატეგიული მიმართულება 5

ადამიანური კაპიტალის განვითარება

- 5.1. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების სწავლის სტიმულირება;
- 5.2. საზღვარგარეთ სწავლის ხელშეწყობა;
- 5.3. ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

5.1. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების სწავლის სტიმულირება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ბათუმელი სტუდენტების სწავლის სტიმულირება და მოტივაცია ისწავლონ უკეთ, რათა მომავალი თაობა იყოს მეტად აქტიური, წარმატებული და განვითარებული.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ფინანსური წახალისებით ამაღლებულია ბათუმელ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება.

პროგრამის აღწერა

„განათლება არის უპირველესი საშუალება ყოველი ერის კეთილდღეობისა და წარმატებისთვის“ - ილია ჭავჭავაძე.

განათლება განვითარების ფუნდამენტური ფაქტორია და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა. მხოლოდ ძლიერი და სოციალურად სამართლიანი საგანმანათლებლო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეყანაში არსებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრა.

ქართული საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი პრიორიტეტია უზრუნველყოს თითოეული ახალგაზრდა ისეთი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რომელიც დაეხმარება მას სწორი არჩევანის გაკეთებაში, სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, პრობლემის გადაჭრაში და მუდმივად ცვალებად დემოკრატიულ გარემოსთან ადაპტაციაში, პიროვნების სრულყოფილი განვითარებისა და შემოქმედებითი თვითრეალიზაციის მიღწევაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელს უწყობს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის შესაქმნელად მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და დაფინანსების ეფექტური მექანიზმების შექმნა.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი მომავალი თაობისათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სტუდენტის სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მისი მოტივირება. სწავლის მოტივაცია კი წარმატების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს სტუდენტის სურვილს, იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს უფრო მაღალ შედეგს.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, პირველ ყოვლისა წახალისებს ქალაქისთვის დეფიციტური და მნიშვნელოვანი მიმართულებების სტუდენტებს რათა მათ გაზრდილი მოტივაციით მეტად აიმაღლონ სწავლის ხარისხი და საბოლოოდ ქალაქმა მიიღოს სპეციალისტი, რომელიც თავისი მიმართულებით მაღალკვალიფიციური იქნება. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, რამდენად უკეთ განვითარდება სამომავლოდ ბათუმი, რომელიც დიდი გამოწვევების წინაშე დგას.

პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტებზე ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის გაცემას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბენეფიციართა შესარჩევად კონკურსის გამოცხადება და დებულების დამტკიცება;
- ✓ კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დამღვეის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ბენეფიციართა შესარჩევად კონკურსის გამოცხადება და დებულების დამტკიცება	არსებულ რეალობასთან შეუსაბამო კრიტერიუმების დადგენა	2	3	6	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი შეხვედრების მოწყობა და სიტუაციური კვლევების ჩატარება	1	2	2
2.	კონკურსის ჩატარება, გამარჯვებულთა გამოვლენა და დაფინანსება.	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამის სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობა	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონალური ხელისუფლება
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	ბენეფიციართა შესარჩევად კონკურსის გამოცხადება და დებულების დამტკიცება	x											
2019 - 2021	კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება				x	x					x	x	

შედეგების შეფასების ინდიკატორები

❖ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა.

5.2. საზღვარგარეთ სწავლის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია წარმატებული, ნიჭიერი, მიზანდასახული ახალგაზრდებისათვის სამომავლო წარმატებული კარიერისთვის ხელშეწყობა, ქალაქისათვის პრიორიტეტულ და დეფიციტურ მიმართულებებზე კვალიფიციური კადრების გაძლიერება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ამაღლებულია უმაღლესი განათლების ხარისხი, გაზრდილია საზღვარგარეთ მაგისტრატურში სწავლების ხელმისაწვდომობა, ქალაქს სხვადასხვა საგანმანათლებლო მიმართულებით ჰყავს ძლიერი და კვალიფიციური კადრი.

პროგრამის აღწერა

საქართველო 2005 წლის მაისში შეუერთდა ბოლონიის პროცესს, ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას უმაღლესი განათლებისათვის. ამ უკანასკნელის მიზანი კი არის ევროპის მოქალაქეთა დასაქმებისა და მობილობის გაძლიერება და ევროპული უმაღლესი განათლების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდა. ამ მიზნის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა, სტუდენტების თავისუფალი გადაადგილება სხვადასხვა ქვეყნებში განათლების მისაღებად.

სწავლა საზღვარგარეთ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება, რაც მეტწილად იმით არის განპირობებული, რომ დასავლური განათლება უფრო მეტად არის ორიენტირებული დამსაქმებლების მოთხოვნილებებზე, ის თანამედროვე და პრაქტიკულია. უნივერსიტეტებს გააჩნიათ თავისუფლება და დიდი უფლებები საკუთარი საგანმანათლებლო პოლიტიკისა და სასწავლო პროგრამების შინაარსის განსაზღვრაში, ისინი მუდმივ ურთიერთობაში არიან ბიზნესთან, ამიტომაც სტუდენტებს სთავაზობენ სპეციალობებისა და სპეციალიზაციების ფართო არჩევანს და ასწავლიან იმას, რაც ნამდვილად გამოსადეგი იქნება მომავალ საქმიანობაში. გარდა ამისა, საზღვარგარეთის ბევრ უნივერსიტეტში ერთდროულად შესაძლებელია ორ ფაკულტეტზე სწავლა, მაგალითად, ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ერთად შეიძლება ეკონომიკის ან სამართლის შესწავლა. ამ სასწავლო დაწესებულებებში იზრდება ფაკულტეტების რიცხვი, სადაც ნერგავენ მულტიდისციპლინალურ მიდგომას, კერძოდ, სპეციალისტების მრავალმხრივ მომზადებას, რომლის გამოყენებასაც ისინი შესძლებენ ეკონომიკის ყველაზე პერსპექტიულ დარგებში. გარდა ამისა საზღვარგარეთ სწავლა ხელსაყრელია ენის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისათვის, რაც აგრეთვე მომავალში შესაძლოა იქცეს სერიოზულ კარიერულ უპირატესობად.

მიმზიდველია ისიც, რომ, ვინაიდან საზღვარგარეთ მეცნიერული სამუშაოები ძირითადად კონცენტრირებულია უნივერსიტეტებში, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია მათი მძლავრი სამეცნიერო - კვლევითი ინფრასტრუქტურა, ძვირადღირებული და ულტრათანამედროვე აპარატურითა და მოწყობილობებით აღჭურვილი ლაბორატორიები, რაც აისახება მედიცინის, ბუნებისმცოდნეობის, საინჟინრო და სხვა დარგების სპეციალისტების მომზადების ხარისხსა და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის დონეზე.

წამყვან ქვეყნებში განათლება ვითარდება დინამიურად, ის ორიენტირებულია ინოვაციებზე, სასწავლო პროცესში პრაქტიკულად გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, მულტიმედიური საშუალებები, სტუდენტების განკარგულებაშია უფასო ინტერნეტი, უმდიდრესი სამეცნიერო ბიბლიოთეკები, მონაცემთა ბაზები. სწავლა ითვალისწინებს მაღალ ტექნოლოგიურ კვლევით, სამედიცინო და საწარმოო კომპანიებში, მსხვილ ბანკებსა და სხვა საფინანსო ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლას, რაც საფუძველს უქმნის კურსდამთავრებულთა დასაქმებას უმძლავრეს საერთაშორისო კორპორაციებში. უმეტეს უმაღლეს სასწავლებლებში ამ მიზნით შექმნილია მაღალი კვალიფიციით სპეციალისტებით დაკომპლექტებული სტუდენტთა დასაქმების სამსახურები.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, ქალაქისათვის პრიორიტეტული და დეფიციტური მიმართულებებით კვალიფიციური კადრების არსებობა. სწორედ ამ მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბათუმელი ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდების სწავლებას საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამებზე.

საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამას შეუძლია, ახალგაზრდებს მისცეს მრავალი გზა პირადი, აკადემიური და კარიერული განვითარებისათვის. პროფესიული უნარ-ჩვევები, რომელთა შეძენაც არის შესაძლებელი საერთაშორისო უმაღლეს სასწავლებლებში, ღირებულია პოტენციური დამსაქმებლებისათვის. საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება დიდ შესაძლებლობებს აძლევს ახალგაზრდებს შემდგომი დასაქმებისთვის, პერსპექტიული სამსახურის პოვნისა და სამომავლო წარმატებული კარიერისთვის.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღება შეეძლებათ ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, შვეიცარიისა და ნორვეგიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ პროგრამის პრეზენტაცია დაინტერესებულ მხარეებთან;
- ✓ ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება;
- ✓ ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება;
- ✓ კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დამცვეის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება	არსებულ რეალობასთან შეუსაბამო კრიტერიუმების	2	3	6	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი შეხვედრების მოწყობა და სიტუაციური კვლევების ჩატარება	1	2	2

		დადგენა							
2.	ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	კომისიაში მიმართულების მიხედვით სპეციალისტთა ნაკლებობა	2	3	6	მიმართულების მიხედვით უწყებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	1	2	2
3.	კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2020 - 2021	პროგრამის პრეზენტაცია დაინტერესებულ მხარეებთან	x											
2020 - 2021	ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება	x	x										
2020 - 2021	ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება		x										
2020 - 2021	კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება			x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ჩატარებული პრეზენტაციების რაოდენობა;
- ❖ ჩატარებულ პრეზენტაციებზე დამსწრე პირთა რაოდენობა;
- ❖ დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა.

5.3. ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ბათუმელი ახალგაზრდების პრაქტიკული უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, მათთვის დამატებითი სამუშაო გამოცდილების მიღების შესაძლებლობის მიცემა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ბათუმელი ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომია სტაჟირების გავლა და პრაქტიკული უნარების განვითარება.

პროგრამის აღწერა

ბათუმში, დინამურად მზარდ ქალაქში, ყოველწლიურად იზრდება ბაზრის მოთხოვნა ცალკეული სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტებზე. ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის გადამწყვეტი სწორედ ადამიანური რესურსების ხარისხია.

დღესდღეობით სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიისწრაფის პროფესიული განვითარებისკენ. დამსაქმებლების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას პოტენციური თანამშრომლის მიმართ მისი გამოცდილება წარმოადგენს. NACE-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, დამსაქმებელთა დაახლოებით 50% სტუდენტის რეზიუმეში სტაჟირებებს ანიჭებს უპირატეობას. ამავე ორგანიზაციის ცნობით, დაქირავებული თანამშრომლების 36% სწორედ სტაჟირების გავლის შედეგადაა მიღებული.

სტაჟირება სტუდენტს საშუალებას აძლევს „მოსინჯოს“ მომავალი სამუშაო სანამ მუდმივ სამსახურს იპოვის, შეიძინოს ნაცნობები და კონტაქტები, იცნობდეს კოლეგებს, რომელთანაც თანამშრომლობა მომავალში აუცილებლად მოუწევს.

სტაჟირება ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს რეზიუმეში. აგრეთვე, მიღებულმა სარეკომენდაციო წერილმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სამსახურის მოძებნაში. მათ, ვისაც გავლილი აქვთ სტაჟირებები, როგორც წესი, უკეთ უხდიათ. სტაჟირება შეიძლება დაეხმაროს ადამიანს თავდაჯერებულობის შეძენაში. გამოცდილება საუკეთესო ინვესტიციაა სამომავლო შემოსავლებისთვის.

ამასთან, დამსაქმებელს განსაკუთრებით მოსწონს ის თავდაჯერებულობა, რომელსაც სტაჟირების დროს მიღებული გამოცდილების საფუძველზეა შეძენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტისათვის არსებითადაა მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების გაძლიერება, ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ამ მიმართულებით ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის; მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას, მათ მომზადებას დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად ითანამშრომლებს დასაქმების

სააგენტოსთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, რათა გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, დაინტერესებულ ადამიანებს მიეცეთ შესაძლებლობა გაიარონ საწარმოო პრაქტიკა თუ სტაჟირება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარდება ინფორმირებულობის თვალსაზრისით შეხვედრები როგორც სტაჟირების მსურველებთან ასევე, სხვადასხვა კერძო კომპანიებთან.

პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა ადგილობრივი კადრების როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში სტაჟირებას ტრენინგ პროგრამებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ პროგრამის პრეზენტაცია დაინტერესებულ მხარეებთან;
- ✓ ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება;
- ✓ ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება;
- ✓ კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დამღევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება	არსებულ რეალობასთან შეუსაბამო კრიტერიუმების დადგენა	2	3	6	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი შეხვედრების მოწყობა და სიტუაციური კვლევების ჩატარება	1	2	2
2.	ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	კომისიაში მიმართულების მიხედვით სპეციალისტთა ნაკლებობა	2	3	6	მიმართულების მიხედვით უწყებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	1	2	2
3.	კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამის სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობა	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო
- ❖ დამსაქმებლები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	პროგრამის პრეზენტაცია და ინტერესებულ მხარეებთან	x											
2019 - 2021	ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება	x	x										
2019 - 2021	ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება		x										
2019 - 2021	კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება			x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა.